

სს ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია

კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
დასკვნის ბოლო გვერდი	31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

მოდიფიცირებული მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია-ს (შემდეგში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველის აბზაცში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი

2017 წელს განხორციელებული შესყიდვის შედეგად, ჯგუფს არ აქვს დათვლილი გუდვილი და წარდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

შვილობილი კომპანიის აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, ინფორმაციის არ ქონისა და შესყიდვის პირობაზე დაყრდნობით (მიუხედავად შუა წელში განხორციელებული ინვესტიციისა დედა კომპანია უფლებამოსილია მოთხოვნა განაცხადოს სრული წლის დივიდენდზე), მიმდინარე ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდირება მოხდა სრულ წელზე, რადგან არ გვქონდა წვდომა შვილობილი კომპანიის ინფორმაციაზე, გარდა აუდიტრებული დასკვნისა.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, უფრო დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის ფინანსური ანგარიშგებების განყოფილებაში დასახელებით - აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA Code) ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენ ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების წარმოსადგენად.

დამატებითი ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დამატებით ინფორმაციაზე. დამატებითი ინფორმაცია შედგება მმართველობის ანგარიშგებისგან, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (თუმცა, არ მოიცავს ამ ფინანსურ ინფორმაციასა და ჩვენს აუდიტის დასკვნას), რომლებიც სავარაუდოა, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ამ ფინანსურ ინფორმაციაზე არ ვრცელდება დამატებით ინფორმაციაზე, მათ შორის, მმართველობის ანგარიშგებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ ხსენებული დამატებითი ინფორმაციის გაცნობას მას შემდეგ, რაც ეს ხელმისაწვდომი გახდება ჩვენთვის, და განხილვას, შესაძლებელია თუ არა, რომ ინფორმაცია იყოს არსებითად არასწორი ან არსებობს თუ არა არსებითი შეუსაბამობა დამატებით ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებებს ან აუდიტის ჩატარებისას ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციას შორის. ამასთან, ვალდებულები ვართ გამოვხატოთ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების გარკვეული მუხლების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ და შევაფასოთ, რამდენად მოიცავს მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიას ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიას ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიას ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიას ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარისი საფუძველს იძლევა აუდიტის არამოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი დასკვნა არის დავით გვეტაძე.

20 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვეთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიას ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის არამოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი დასკვნა არის დავით გვეტაძე.

20 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო



სს ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით

თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	3 667	3 667
არამატერიალური აქტივები		4	29
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები		42	42
სულ გრძელვადიანი ქეტივები		3 713	3 738
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	7 878	12 056
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	1 837	1 444
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები		46	11
წინასწარ გადახდილი გადასახადები		432	486
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8	2 398	2 025
სულ მიმდინარე აქტივები		12 591	16 022
სულ აქტივები		16 304	19 760
კაპიტალი			
საქციო კაპიტალი	9	1 384	1 384
დაუფარავი ზარალი		(1 295)	(1 417)
არამაკონტროლებელი წილი		(9 222)	(6 941)
სულ კაპიტალი		(9 133)	(6 974)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		311	311
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		311	311
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	16 867	17 299
მოკლევადიანი სესხები	11	8 261	9 124
სულ მიმდინარე ვალდებულებები		25 127	26 423
სულ ვალდებულებები		25 438	26 734
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16 304	19 760

ხელმოწერი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

20 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი	არამაკონტოლირებული წილი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2017	831	(1 417)	(586)	(6 387)	(6 973)
კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-	-
გაუნაწილებელი ზარალის ცვლილება	-	-	-	-	-
პერიოდის ზარალი	-	(1 294)	(1 294)	(864)	(2 158)
31 დეკემბერი, 2018	831	(2 711)	(1 880)	(7 251)	(9 131)

ხელმოწერი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

RALESH NAMBIAR

20 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ათას ლარში

	2018	2017
მოგება დაბეგვრამდე	(2 158)	(2 363)
ცვეთა და ამორტიზაცია	530	539
ცვლილებები:		
(ზრდა)/შემცირება მარაგებში	4 178	(2 219)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(394)	474
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში	53	(140)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(432)	6 550
ზრდა/(შემცირება) გაცემულ სესხებში	(35)	76
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	1,743	2,917
გადახდილი პროცენტი		
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	1,743	2,917
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/შემცირება	(530)	(1,452)
არამატერიალური აქტივების შეძენა	25	24
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(505)	(1,428)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	(864)	(1 036)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(864)	(1 036)
წმინდა ფულის ზრდა	373	453
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	2 025	1 572
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	2 398	2 025

ხელმოწერილი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

LALE34 NAMBIAR

20 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3

სს ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია

კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	2018	2017
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	12	129 869	124 526
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	13	(122 318)	(118 769)
საერთო მოგება		7 551	5,757
სხვა შემოსავალი		455	597
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯი	14	(6 588)	(5,200)
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	15	(3 090)	(2,683)
ფინანსური ზარალი (წმინდა)		(845)	(988)
სხვა მოგება (წმინდა)		359	155
მიმდინარე წლის ზარალი		(2 158)	(2 362)
სულ მიმდინარე წლის სრული ზარალი		(2 158)	(2 362)
ჯგუფის წილი ასოცირებული საწარმოების წლიური წმინდა მოგებიდან		(864)	(945)
ჯგუფის წმინდა ზარალი		(1 294)	(1 417)

ხელმოწერილი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი


CASE 34 NAMIBIA

20 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	3 667	3 667
არამატერიალური აქტივები		4	29
ძირითადი საშუალებების შესატენად გადახდილი ავანსები		42	42
სულ გრძელვადიანი ქტივები		3 713	3 738
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	7 878	12 056
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	1 837	1 444
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები		46	11
წინასწარ გადახდილი გადასახადები		432	486
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8	2 398	2 025
სულ მიმდინარე აქტივები		12 591	16 022
სულ აქტივები		16 304	19 760
კაპიტალი			
საქციო კაპიტალი	9	1 384	1 384
დაუფარავი ზარალი		(1 295)	(1 417)
არამაკონტროლებელი წილი		(9 222)	(6 941)
სულ კაპიტალი		(9 133)	(6 974)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		311	311
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		311	311
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	16 867	17 299
მოკლევადიანი სესხები	11	8 261	9 124
სულ მიმდინარე ვალდებულებები		25 127	26 423
სულ ვალდებულებები		25 438	26 734
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16 304	19 760

ხელმოწერი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

20 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

[Handwritten signature]
RASHID NABIB'AR

შენიშვნები გვერდებზე 8-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია
კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	2018	2017
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	12	129 869	124 526
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	13	(122 318)	(118 769)
საერთო მოგება		7 551	5,757
სხვა შემოსავალი		455	597
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯი	14	(6 588)	(5,200)
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	15	(3 090)	(2,683)
ფინანსური ზარალი (წმინდა)		(845)	(988)
სხვა მოგება (წმინდა)		359	155
მიმდინარე წლის ზარალი		(2 158)	(2 362)
სულ მიმდინარე წლის სრული ზარალი		(2 158)	(2 362)
ჯგუფის წილი ასოცირებული საწარმოების წლიური წმინდა მოგებიდან		(864)	(945)
ჯგუფის წმინდა ზარალი		(1 294)	(1 417)

ხელმოწერილი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

20 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი	არამაკონტოლირებადი წილი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2017	831	(1 417)	(586)	(6 387)	(6 973)
კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-	-
გაუნაწილებელი ზარალის ცვლილება	-	-	-	-	-
პერიოდის ზარალი	-	(1 294)	(1 294)	(864)	(2 158)
31 დეკემბერი, 2018	831	(2 711)	(1 880)	(7 251)	(9 131)

ხელმოწერილი პირები:

ადმინისტრაციული დირექტორი

20 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ათას ლარში

	2018	2017
მოგება დაბეგვრამდე	(2 158)	(2 363)
ცვეთა და ამორტიზაცია	530	539
ცვლილებები:		
(ზრდა)/(შემცირება) მარაგებში	4 178	(2 219)
(ზრდა)/(შემცირება) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(394)	474
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში	53	(140)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(432)	6 550
ზრდა/(შემცირება) გაცემულ სესხებში	(35)	76
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	1,743	2,917
გადახდილი პროცენტი		
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	1,743	2,917
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/შენიშვნა	(530)	(1,452)
არამატერიალური აქტივების შეძენა	25	24
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(505)	(1,428)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	(864)	(1 036)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(864)	(1 036)
წმინდა ფულის ზრდა	373	453
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	2 025	1 572
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	2 398	2 025

ხელმოწერილი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

20 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

1. შესავალი

ჯგუფი და მისი საქმიანობა

ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია არის სააქციო საზოგადოება (ს/ნ 404537284), რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად 2017 წლის 10 მაისიდან. რეგისტრაციის მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისი რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N 129ა.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა არის ინვესტიციის განხორციელება ადგილობრივ ბაზარზე.

ის ფლობს 60% წილს შვილობილ კომპანია შპს „ჯიბე“-ში.

შპს „ჯიბე“ (კომპანია) დაარსდა 2008 წლის 7 ოქტომბერს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206335223). კომპანია წარმოადგენს საბითუმო სავაჭრო ქსელს. კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ახვლედიანის ქ., №3.

ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს ჯგუფის დირექტორი - რაჯეშ ვასუდევან ნამბიარი (ინდოეთი).

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიას ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2018	31 დეკ 2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.0701	3.1044

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციები. ეს არის ჯგუფის მიერ პირველად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან 2018 წლის 31 დეკემბრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

რადგან 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

კონსოლიდირების საფუძველი

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ინვესტირების ობიექტებს, სტრუქტურირებული კომპანიების ჩათვლით, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი, რადგანაც ჯგუფს (i) აქვს უფლებამოსილება ხელმძღვანელობა გაუწიოს ინვესტირების ობიექტების შესაბამის საქმიანობას, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ შემოსავალზე, (ii) ექვემდებარება ან უფლება აქვს მიიღოს ცვალებადი შემოსავლები ინვესტირების ობიექტებთან ურთიერთობიდან და (iii) შეუძლია ინვესტირების ობიექტებზე თავისი ძალაუფლება გამოიყენოს ინვესტორის მოგებაზე ზემოქმედების მოსახდენად. მატერიალური უფლებების, მათ შორის, მატერიალური პოტენციური ხმის მიცემის უფლებების არსებობა და ზემოქმედება, მხედველობაში მიიღება იმის შეფასებისას, აქვს თუ არა ჯგუფს ძალაუფლება სხვა კომპანიაზე. იმისთვის, რომ უფლება მატერიალური იყოს, მის მფლობელს უნდა ჰქონდეს ამ უფლების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობა მაშინ, როცა საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება ინვესტირების ობიექტის შესაბამისი საქმიანობის ხელმძღვანელობის შესახებ. ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე მაშინაც კი, თუ ის ინვესტირების ობიექტში ხმის უფლების უმრავლესობაზე ნაკლებს ფლობს. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი აფასებს თავისი ხმის უფლებების მოცულობას ხმის უფლების მქონე სხვა პირთა ხმების მოცულობასა და გავრცელებასთან მიმართებაში იმის განსაზღვრისთვის, აქვს თუ არა მას ფაქტიური ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე. სხვა ინვესტორების დაცვითი უფლებები, როგორცაა, უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირების ობიექტის საქმიანობის ფუნდამენტურ ცვლილებებთან ან რომლებიც მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში გამოიყენება, არ აფერხებს ჯგუფის მიერ ინვესტირების ობიექტის კონტროლს. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია იმ თარიღიდან, როცა კონტროლი გადაეცემა ჯგუფს (შემენის თარიღი) და დეკონსოლიდირებულია კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი კომპანიების შეძენის ასახსნელად. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და პასივები და ნაკისრი გაუთვალისწინებელი ვალდებულებები ფასდება შეძენის თარიღს მათი სამართლიანი ღირებულებით, განურჩევლად აქციათა არასაკონტროლო პაკეტის მოცულობისა.

ჯგუფი განსაზღვრავს აქციათა არასაკონტროლო პაკეტს, რომელიც წარმოადგენს ამჟამინდელ წილობრივ მონაწილეობას და მფლობელს ანიჭებს უფლებას წმინდა აქტივების პროპორციულ წილზე ლიკვიდაციის შემთხვევაში, რიგ თანმიმდევრულ გარიგებებთან მიმართებაში: (ა) სამართლიანი ღირებულებით ან (ბ) შესაძენი კომპანიის წმინდა აქტივების პროპორციულ წილზე აქციათა არასაკონტროლო პაკეტში. აქციათა არასაკონტროლო პაკეტი, რომელიც არ წარმოადგენს ამჟამინდელ წილობრივ მონაწილეობას, განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებით.

გუდვილი განისაზღვრება შესაძენი კომპანიის წმინდა აქტივების გაქვითვით შესაძენი კომპანიისთვის გადარიცხული მთლიანი თანხიდან, შესაძენ კომპანიაში აქციათა არასაკონტროლო პაკეტის თანხიდან და შესაძენ კომპანიაში წილის სამართლიანი ღირებულებიდან, რომელსაც ფლობს უშუალოდ შეძენის თარიღამდე. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“ ან „ხელსაყრელი შეძენა“) აღიარებულია მოგებას ან ზარალში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა გადააფასებს, განსაზღვრა თუ არა მან ყველა შეძენილი აქტივი და პასივი და ნაკისრი გაუთვალისწინებელი ვალდებულებები და განიხილავს მათი შეფასების მიზანშეწონილობას.

შესაძენი კომპანიისთვის გადარიცხული თანხა ფასდება უარყოფითი აქტივების სამართლიანი ღირებულებით, გაცემული წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტებითა და ნაკისრი ვალდებულებებით, პირობითი ანაზღაურების შესახებ შეთანხმებებიდან აქტივების ან პასივების სამართლიანი ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ მოიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორცაა, საკონსულტაციო, იურიდიული, შეფასებითი და მსგავსი პროფესიული მომსახურება. შეძენასთან დაკავშირებული და წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტების გაცემისას გაწეული ხარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში სასესხო ვალდებულებების გაცემისას გაწეული საოპერაციო ხარჯები გაიქვითება სესხის საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა საოპერაციო ხარჯი ჩამოწერილ იქნება ხარჯების სახით.

კომპანიათაშორისი გარიგებები, ბალანსები და არარეალიზებული მოგება ჯგუფის კომპანიებს შორის გარიგებებიდან ლიკვიდირებულია; ასევე ლიკვიდირებულია არარეალიზებული მოგება, თუ ხარჯი ვერ იქნება ანაზღაურებული. კომპანია და მისი შვილობილი კომპანია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის ერთიან პოლიტიკას, რომელიც შესაბამისობაშია ჯგუფის პოლიტიკასთან.

აქციათა არასაკონტროლო პაკეტი წარმოადგენს საბოლოო შედეგებისა და შვილობილი კომპანიის საკუთარი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია აქციათა პაკეტთან, რომელსაც, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ ფლობს კომპანია. აქციათა არასაკონტროლო პაკეტი ქმნის ჯგუფის საკუთარი კაპიტალის ინდივიდუალური კომპონენტს.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიას ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიას ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, ჯგუფს შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვებია ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შემენახე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანაშრომლის ჩათვლით), მრჩევლის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ

ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების კომპანიასგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული

გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც ფულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

	სასარგებლო ვადა (წელი)
მიწა და შენობა-ნაგებობები	50
მოწყობილობები, ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	1-5; 7-8; 10
სატრანსპორტო საშუალებები	5; 8
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2; 10

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებები რომელთა ღირებულება 500 ლარზე ნაკლებია პირდაპირ ხარჯებში იწერება. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

სარემონტო და შენახვის ხარჯები პირდაპირ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხვდება. თუ მოსალოდნელია ამ ხარჯებისგან მომავალი სარგებელი, მაშინ ხდება მათი დაკაპიტალიზირება ძირითად საშუალებებზე.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი

გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადაა 10 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რო დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

შემოსავლის აღიარება

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-სა და ფასდათმობის გარეშე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საეჭვო ვალების რეზერვი

კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსხვავებულ შეფასებებს იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორი აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს რომლებიც კორელაციაშია კომპანიას აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივების ისტორიული საკრედიტო მახასიათებლები და გაუფასურების პირობები მსგავსია მიმდინარე აქტივებისა მაშინ შეფასებისას გამოიყენება ეს ისტორიული მონაცემები.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება..

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ქვემოთ მოცემულია ახალი და შეცვლილი, სტანდარტები რომლებიც დანერგული აქვს კომპანიას პირველად 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში

IASB-მა გამოუშვა დოკუმენტი “გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება არარეალიზებული ზარალისათვის”, რომლითაც მცირე მასშტაბის ცვლილებები შევიდა ბასს 12-ში, „მოგების გადასახადი“. ამ განახლების მიზანია, განსაზღვროს, თუ როგორ აღირიცხოს გადავადებული მოგების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრულ სასესხო ინსტრუმენტებთან. ნაწილობრივ, სადაც საბაზრო საპროცენტო განაკვეთის შემცირება იწვევს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შემცირებას.

ცვლილებები აზუსტებენ შემდეგ ასპექტებს:

- არარეალიზებული ზარალი სასესხო ინსტრუმენტებზე, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია სამართლიანი ღირებულებით, ხოლო საგადასახადო მიზნებისთვის აისახება თვითღირებულებით, წარმოშობს გამოქვითვად დროებით სხვაობას, მიუხედავად იმისა, ამ ინსტრუმენტის მფლობელი მის გაყიდვას აპირებს თუ გამოყენებას;
- აქტივის საბალანსო ღირებულება არ გვზღუდავს სავარაუდო მოგების გადასახადის განსაზღვრებაში;
- განსაზღვრული მომავალი დასაბეგრი მოგება არ შეიცავს იმ საგადასახადო გამოქვითვებს, რომლებიც წარმოქმნილია გამოსაქვითი დროებითი სხვაობების შებრუნებით.
- კომპანიამ უნდა განსაზღვროს საგადასახადო კოდექსის შეზღუდვები დასაბეგრი მოგების იმ წყაროზე, რომლებსაც შეუძლიათ, შეამცირონ გამოსაქვითი დროებითი სხვაობების შებრუნება. თუ საგადასახადო არ შემოიღებს ამგვარ შეზღუდვას, მაშინ კომპანიას შეეძლება ეს დროებითი გამოქვითვადი სხვაობა შეაფასოს სხვა დროებით გამოსაქვით სხვაობებთან ერთად.

ცვლილებები ეფექტური იქნება 2017 წლის 1 იანვრიდან და მათი გამოყენება მოითხოვება რეტროსპექტულად. ხელმძღვანელობა ამ ცვლილებებისგან არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, 2017 წლიდან ფინანსურ ანგარიშგებაში გადავადებული გადასახადების აღიარება აღარ მოხდება, რადგან აღარ იარსებებს ის ფაქტორები, რაც გადავადებულ გადასახადებს წარმოშობდა.

ბასს (IAS) 7 ინფორმაციის გახსნის ინიციატივა და ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში

ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ ცვლილებები შევიდა „ინფორმაციის გახსნის ინიციატივის“ ფარგლებში და საწარმოებს ავალდებულებს ისეთი ინფორმაციის წარმოდგენას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებები, ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებებისა და არაფულადი ცვლილებების ჩათვლით. ცვლილების თავდაპირველად განხორციელებისას, საწარმოებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდებთან შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. საწარმომ მოამზადა ცვლილებით განსაზღვრული ახსნა განმარტებითი შენიშვნა დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა N 14.

ქვემოთ მოცემული სტანდარტები კომპანიას ასევე დანერგილი აქვს წინასწარ:

ცვლილებები ფას 2-ში წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების კლასიფიკაცია და გაზომვა
ცვლილებები სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან. მათი მიზანია სტანდარტში არსებული ზოგიერთი პრინციპისა და სააღრიცხვო მიდგომის განმარტება.

გაუმჯობესებათა 2014-2016 წლების ციკლი

აღნიშნული გაუმჯობესებები ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან:

- ფას 1 - არსებული მოკლევადიანი შეღავათები ფას 7, ბას 19 და ფას 10-ის გარდამავალი მუხლებისათვის გაუქმებულია (არა-აქტუალობის გამო);
- ბას 28 - განმარტებულია, რომ ერთობლივმა საწარმოებმა, ფონდებმა და მსგავსმა ორგანიზაციებმა მეკავშირეებსა და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების სამართლიანი ღირებულებით ასახვის არჩევანი უნდა განახორციელონ ინდივიდუალურად თითოეული ორგანიზაციისათვის თავდაპირველი აღიარებისას.

ქვემოთ მოცემულია ის სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც გამოშვებულია და ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ პერიოდზე და რომლებიც არ არის ადრე დანერგილი წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას. კომპანიის შეფასებით არცერთ მათგანს არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფას 9 ფინანსური ინსტრუმენტები (ეფექტურია საანგარიშგებო პერიოდებისათვის რომლებიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს).

საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოაქვეყნა თავისი ბოლო ცვლილება ფას 9 ფინანსური ინსტრუმენტები (2014)-თან დაკავშირებით, რომელიც ჩაანაცვლებს ბას 39-ს - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სტანდარტი მნიშვნელოვან ცვლილებებს ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე და შემოაქვს ახალი განსაზღვრება „მოსალოდნელი ზარალი“ ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ფას 9, ასევე, გვთავაზობს ახალ აღრიცხვას ჰეჯირებაზე.

კომპანიის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ახალი სტანდარტის მოთხოვნის მიხედვით, გამოყენებული უნდა იყოს საანგარიშო წლის დასაწყისში ან 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ.

ფას 16 იჯარა (ეფექტურია საანგარიშგებო პერიოდებისათვის რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს).

ფას 16 აწესებს ახალ მოთხოვნებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფას 16 მოითხოვს, იჯარა აღრიცხოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივი „გამოყენების უფლებით“ და იჯარის ვალდებულება.

ფას 16 ასევე:

ცვლის იჯარის განმარტებას;

- აწესებს მოთხოვნებს, თუ როგორ აღრიცხოთ აქტივი და ვალდებულება, ასევე რთული საკითხები, როგორებიცაა, არასაიჯარო ელემენტები, ცვლადი იჯარის გადასახადები და ოფციის პერიოდი;
- ითვალისწინებს გამონაკლისებს მოკლევადიან იჯარაზე და დაბალფასიანი აქტივების იჯარებზე;
- ცვლის აღრიცხვას რეალიზაციის და უკუიჯარის გარიგებებზე;
- ძირითადად ინარჩუნებს ბას 17-ის მიდგომას;
- გვაცნობს ახსნა-განმარტებითი შენიშვნების ახალ მოთხოვნებს.

•

ფასს 16 ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან. სტანდარტის ამ ვადაზე ადრე გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ფასს 15 - შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან. კომპანიის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 15 შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან (ეფექტურია საანგარიშგებო პერიოდებისათვის რომლებიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს).

ფასს 15 წარმოადგენს ახალ მოთხოვნას რეალიზაციის აღიარებასთან დაკავშირებით და იგი ანაცვლებს ბასს 18-ს – “ამონაგები”, ბასს 11-ს – “სამშენებლო კონტრაქტები” და სხვა რეალიზაციასთან დაკავშირებულ სტანდარტებს. ახალი სტანდარტი საუბრობს კონტროლთან დაკავშირებულ რეალიზაციის მოდელზე და იძლევა ისეთ დეტალებზე განმარტებებს, რაც სხვა ფასს-ებში არ იყო აქამდე დაფარული. მათ შორის, როგორ აღირიცხოს ბუღალტრულად მრავალპროფილიანი ვალდებულებები, ფასების ცვალებადობა, მომხმარებლების დაბრუნებული უფლებები, მომწოდებლების გამოსყიდული ოფციები და სხვა კომპლექსური საკითხები.

ფასს 15 ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანიის მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია, ამ სტანდარტთან დაკავშირებული ეფექტი რა გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ცვლილებები ბასს 40-ში

ცვლილებები განმარტავენ, რომ საინვესტიციო ქონებაში აქტივის შეტანა ან გატანა შესაძლებელია მხოლოდ ამ აქტივის გამოყენების დადასტურებული ცვლილებების შემთხვევაში. გამოყენების ცვლილებას ადგილი აქვს, როდესაც აქტივი აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას. ხელმძღვანელობის განზრახვა, აქტივის გამოყენებასთან დაკავშირებით არ არის საკმარისი მტკიცებულება აქტივის კლასიფიკაციის მიზნებისათვის. ცვლილებები ძალაში შევა 2018 წლის 1 იანვრიდან და მათი დანერგვა, გარკვეული დაშვებებით, შესაძლებელია როგორც პერსპექტიულად ისე რეტროსპექტიულად. კომპანიის მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ამ სტანდარტთან დაკავშირებული ეფექტი რა გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ცვლილებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში

ცვლილებები ეხება აქტივის მიწოდების ან შეტანის აღრიცხვას ინვესტორსა და მის მეკავშირეს ან ერთობლივ საწარმოს შორის. ცვლილება სპეციფიკურად განიხილავს ოპერაციის შედეგად მიღებული მოგება ზარალის აღრიცხვას. საბჭოს მიერ არ არის დადგენილი ცვლილების ეფექტურობის თარიღი თუმცა დაშვებულია ამ ცვლილებების ადრეული გამოყენება. კომპანიის მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ამ სტანდარტთან დაკავშირებული ეფექტი რა გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

5. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	მანქანა დანადგარი	სხვა	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერები	ავეჯი და სხვა	კაპიტალური დანახარჯები	სულ
ისტორიული								
ბალანსი 31.12.2017	1,058,021	1,365,965	60,280	131,444	403,883	1,287,868	310,487	4,617,948
დამატება	-	312,198	-	-	184,200	223,059	33,351	752,808
შემცირება	-	(41,814)	(1,104)	-	(116,124)	(104,733)	-	(263,775)
ბალანსი 31.12.2018	1,058,021	1,636,349	59,176	131,444	471,959	1,406,194	343,838	5,106,981
ცვეთა								
ბალანსი 31.12.2017	(28,359)	(121,181)	(33,505)	(99,462)	(146,691)	(406,010)	(115,797)	(951,005)
დამატება	-	(119,076)	(10,600)	(3,163)	(52,971)	(319,702)	-	(505,512)
შემცირება	-	5,230	-	-	11,205	-	-	16,435
ბალანსი 31.12.2018	(28,359)	(235,027)	(44,105)	(102,625)	(188,457)	(725,712)	(115,797)	(1,440,082)
ბალანსი 31.12.2017	1,029,662	1,244,784	26,775	31,982	257,192	881,858	194,690	3,666,943
ბალანსი 31.12.2018	1,029,662	1,401,322	15,071	28,819	283,502	680,482	228,041	3,666,899

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.2018	31.12.2017
მზა პროდუქცია	7 764	11 959
სხვა მარაგები	86	86
საწვავი	29	11
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	7 878	12 056

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31.12.2018	31.12.2017
სავაჭრო მოთხოვნები	1 016	210
მოთხოვნები სარეკლამო მომსახურებიდან	-	249
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	160	139
მოთხოვნები იჯარიდან	330	57
სხვა მოთხოვნები	317	148
გადახდილი ავანსები	15	641
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	1 837	1 444

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2018	31.12.2017
სალარო	370	480
ფული ბანკში	2 029	1 545
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	2 398	2 025

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომისიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

9. კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკუთარი კაპიტალი შეადგენდა 1,384 ათას ლარს. 2018 წლის განმავლობაში საკუთარ კაპიტალში ცვლილებები არ მომხდარა.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2018	31.12.2017
მიღებული ავანსები	19	19
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16 480	16 912
გადასახდელი ხელფასები	218	218
სხვა ვალდებულებები	151	149
	16 867	17 299

11. მოკლევადიანი სესხები

	31.12.2018	31.12.2017
მოკლევადიანი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	543	648
სხვა მოკლევადიანი სესხები	432	432
საბანკო სესხები	6 962	6 962
მოკლევადიანი სესხები სალიზინგო კომპანიიდან	(411)	424
გადასახდელი საბანკო პროცენტები	237	321
დაკავშირებულ მხარეებისგან მიღებულ სესხებზე გადასახდელი პროცენტები	18	18
სალიზინგო კომპანიებიდან აღებულ სესხებზე გადასახდელი პროცენტები	480	320
სულ მოკლევადიანი სესხები	8 260	9 124

კომპანიის სასესხო ვალდებულებები წარდგენილი არის ლარსა და აშშ დოლარში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ლარში არსებული სესხებისა აირს 12% , ხოლო აშშ დოლარში არსებული სესხების, მერყეობს 8-10%-მდე.

საბანკო სესხები უზრუნველყოფილი არის დამფუძნებლების დეპოზიტებითა და დაკავშირებული მხარეების სხვადასხვა სახის აქტივებით.

ამასთანავე, კომპანიას მოპოვებული აქვს დაფინანსება სალიზინგო კომპანიებიდან. კერძოდ, საქართველოს სალიზინგო კომპანია და თიბისი ლიზინგი. დაფინანსება მოპოვებული არის უკუიჯარის პირობით აქტივების გაყიდვის იურიდიული ხელშეკრულების საფუძველზე.

12. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

	2018	2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	127 889	123 535
შემოსავალი ქეშ ბეჭიდან	1 980	990
სულ შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	129 869	124 526

13. თვითღირებულება

	2018	2017
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	121 491	117 673
დანაკლისი	661	952
ჩამოწერილი პროდუქცია	167	143
სულ თვითღირებულება	122 318	118 769

14. გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯი

	2018	2017
ხელფასები	2 902	2 566
სხვა	448	438
იჯარა	2 090	1 259
დაცვა	63	35
საწვავი და ტრანსპორტირება	314	287
ცვეთა და ამორტიზაცია	160	177
კომუნალური	611	438
სულ გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯი	6 588	5 200

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2018	2017
სხვა ხარჯი	380	408
ხელფასი	1 353	1 192
საბანკო	96	68
იჯარა	78	61
საწვავი და ტრანსპორტირება	583	216
საკონსულტაციო	129	290
მივლინება	102	87
ცვეთა და ამორტიზაცია	370	362
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	3 090	2 683

16. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები

საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღწევა კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

17. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გაცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი

კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
გაცემული სესხები	46	11
ფული და ფულის ექვივალენტები	2,398	2,025

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქცევის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა

კომპანია მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით.

საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

დებიტორული დავალიანება - კონტრაგენტების ინტენსიური საკრედიტო ანალიზის საფუძველზე ფასდება მათგან მისაღების თანხების სარკედიტო ხარისხი. მნიშვნელოვანი დებიტორებისათვის ინდივიდუალური გაუფასურების შეფასება ხორციელდება ყოველ საბალანსო თარიღისათვის. მცირე თანხის დებიტორები ჯგუფდება ერგვაროვან ჯგუფებად და მათი გაუფასურება ფასდება ჯგუფურად.

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწებულაბაში განთავსებით რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსი მონიტორინგი უტარდება რეგულარულად.

ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას მენეჯმენტი ითვალისწინებს, მოხდა თუ არა დავალიანების ძირითადი თანხის დაფარვის ვადაგადაცილება, ან არის თუ არა ცნობილი მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების კომპანიადან მოსალოდნელ ფულად ნაკადებში რაიმე სირთულის არსებობის შესახებ ან ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების დარღვევის ფაქტი. კომპანია რეზერვებს აფასებს მხოლოდ ინდივიდუალურად და კოლექტიურად.

სავაჭრო დებიტორებოდან მოთხოვნები ინდივიდუალურად ფასდება თითოეული კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასების საფუძველზე. შეფასებისას კომპანიის მენეჯმენტის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული კონტრაგენტის შესაძლებლობა რამდენად დროულად დაფარავს საკონტრაქტო პირობით განსაზღვრულ ყველა აუცილებელ გადასახდელ თანხას. დავალიანების ამოღების შესაძლებლობა ფასდება პროცენტულად, რომლის საფუძველზეც შეიქმნება საექვო მოთხოვნისთვის ინდივიდუალური რეზერვი;

სავაჭრო დებიტორებოდან მოთხოვნების რეზერვები კოლექტიურად ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის და თითოეული პორტფელი განიხილება დამოუკიდებლად. მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე მოთხოვნების დაჯგუფებას კომპანია განსაზღვრავს პროდუქტის და ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით.

საბაზრო რისკი

კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

სს „ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია“

შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე 2018 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ათას ლარში

2017	აშშ დოლარი ლარში	ლარში	სულ
ფინანსური აქტივები			
გაცემული სესხები	11	-	11
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	679	679
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	2 022	2 025
სულ ფინანსური აქტივები	14	2 701	2 715

	აშშ დოლარი ლარში	ლარში	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	1 231	15 681	16 912
სასესხო ვალდებულებები	7 612	2 565	10 177
სულ ფინანსური ვალდებულებები	9	18	27 089

წმინდა პოზიცია	(8 829)	(16)	(24)
-----------------------	----------------	-------------	-------------

2018	აშშ დოლარი ლარში	ლარში	სულ
ფინანსური აქტივები			
გაცემული სესხები	46	-	46
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	1 759	1 759
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	2 398	2 398
სულ ფინანსური აქტივები	46	4 157	4 203

	აშშ დოლარი ლარში	ლარში	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	56	16 248	16 304
სასესხო ვალდებულებები	5 962	2 610	8 572
სულ ფინანსური ვალდებულებები	6 018	18 858	24 876

წმინდა პოზიცია	(5 972)	(14 700)	(20 672)
-----------------------	----------------	-----------------	-----------------

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. კომპანიის მიერ აღებული ყველა სესხი ფიქსირებულ პროცენტთანაა საპროცენტო განაკვეთით განისაზღვრება, შესაბამისად ამ კუთხით საწარმოზე ზემოქმედებს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი ჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით თუ ცვლადი განაკვეთი. აღებული სესხების დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 10-ში.

ლიკვიდურობის რისკის მართვა. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ ასრულებს გადახდის ვალდებულებას, მაშინ როდესაც მას უწევს გადახდა განრიგის მიხედვით. ამ რისკის კონტროლისათვის, მენეჯმენტი ადგენს მომავალი ფულადი ნაკადების გეგმას. კომპანია გეგმავს ვალდებულებების დაფარვას საოპერაციო ფულადი შემოდინებებისაგან.

ლიკვიდურობის რისკის ცხრილი

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია პირველადი ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულების ამოწურვამდე. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ეყრდნობა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებულ ფულის ნაკადებს:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო	16,912	-	-	-	16,912
დავალიანება					
სესხები	2,433	6,820	924	-	10,177
სულ მომავალში გადასახდელები	19,345	6,820	924	-	27,089

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო	16 303	-	-	-	16 303
დავალიანება					
სესხები	2 433	5 215	924	-	8 572
სულ მომავალში გადასახდელები	18 736	5 215	924	-	24 875

კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა. კომპანია ძირითადად გეგმავს ვალდებულებების დაფარვას საოპერაციო ფულადი ნაკადებით.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, ფუნქციონირება, რათა მეწილეებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს საწესდებო

კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

18. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამთვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები

სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები

სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები შეფასებული ღირებულება ეფუძნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებულ მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს რომელთა მიღებაც მოსალოდნელია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიმდინარე საპროცენტო განაკვეთები აღებულია იმ ახალი ინსტრუმენტებისგან, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. გაცემული სესხები და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

19. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

შეფასების მიზნით ბასს 39-ში, ფინანსური აქტივები: აღიარება და შეფასება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; (ბ) გასაყიდად არსებულ ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები; და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით. რეალური ღირებულებით მოცემულ ფინანსურ აქტივებს, მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით, გააჩნიათ ორი ქვეკატეგორია: (ი) ამგვარად კლასიფიცირებული აქტივები მათი საწყისი აღიარებისას და (იი) ისინი, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ვაჭრობისათვის გამიზნული.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შეჯერება შეფასების ამ კატეგორიებთან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სესხები და დებიტორული დავალიანება 2018	სესხები და დებიტორული დავალიანება 2017
აქტივები		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1 837	1 444
გაცემული სესხები	46	11
ფული და ფულის ექვივალენტები	432	486
სულ ფინანსური აქტივები	4 282	3 479

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2018 წლის 31 დეკემბრისთვისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	31.12.2018	31.12.2017
ხელფასის ხარჯი	242	300

საბანკო სესხები უზრუნველყოფილია დამფუძნებლის დეპოზიტებითა და სხვა დაკავშირებული მხარის სხვადასხვა სახის აქტივით.

კომპანიას გაცემული აქვს სესხი დაკავშირებული მხარეებზე, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 46 ათას ლარს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 11 ათას ლარს.

კომპანიას ასევე მიღებული დაკავშირებული მხარეებისგან, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 561 ათას ლარს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 670 ათას ლარს.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

სს „ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია“

შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე 2018 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ათას ლარში

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში

სს ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია
მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სს „ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ჩვენი ვალდებულებაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან და ამავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან შესაბამისობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით ჩვენ განვსაზღვრავთ არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მივუთითებთ მათ არსს.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება მოქმედ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა სს „ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია“-ს თანმხლები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. სს „ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია“-ს მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენ“-მა ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

დავით გვეტაძე
სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენი“

19 დეკემბერი, 2019 წელი

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

დავით გვეტაძე

სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენი“

19 დეკემბერი, 2019 წელი



სს ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია
ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება

ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს სს „ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია“-სთან (შემდგომში „ჯგუფი“) დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიც არის საქმიანობის მიმოხილვა, ძირითადი ფინანსური და სხვა მაჩვენებლები, ბიზნეს რისკები, რომლებმაც შესაძლოა ჯგუფის საქმიანობის მაჩვენებლებზე იმოქმედონ და განვითარების პერსპერტივები.

ჯგუფი და მისი საქმიანობა

ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია არის სააქციო საზოგადოება (ს/ნ 404537284), რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად 2017 წლის 10 მაისიდან. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისი რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N 129ა.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა არის ინვესტიციის განხორციელება ადგილობრივ ბაზარზე.

ის ფლობს 60% წილს შვილობილ კომპანია შპს „ჯიბე“-ში.


შპს „ჯიბე“ (შემდგომში „ჯიბე“) დაარსდა 2008 წლის 7 ოქტომბერს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206335223). „ჯიბე“ წარმოადგენს საბითუმო და საცალო სავაჭრო ქსელს, რომელიც საქმიანობას ახორციელებს თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში, სათავო ოფისის მისამართია თორნიკე ერისთავის #5.

ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს ჯგუფის დირექტორი - რაჯემ ვასუდევან ნამბიარი (ინდოეთი).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის 100% აქციების მფლობელია გალმინგტონ ჰოლგინგს ლიმიტედი (ს.ნ. 1768850. მისამართი: Mill Mall, Suite 6, Wickhams Cay 1, P O Box 3085' Roadtown, Tona, British Virgin Islands)

„ჯიბეს“ საქმიანობა

„ჯიბე“ წარმოადგენს საბითუმო და საცალო სავაჭრო ქსელს, რომელიც საქართველოს ბაზარზე 2018 წლის ბოლოსთვის წარმოდგენილია 10 მაღაზიით რეგიონებში (ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი, სამტრედია, ზესტაფონი, გორი, ახალციხე, ახალქალაქი, რუსთავი და თელავი) და 2 მაღაზიით ქ. თბილისში.




„ჯიბე“ არის საქართველოში პირველი და ერთადერთი ორგანიზებული საბითუმო სავაჭრო ქსელი, რომელიც ემსახურება როგორც იურიდიულ პირებს, ასევე საცალო მომხმარებლებს, რომელიც ორიენტირებულია ინოვაციურ გადაწყვეტებზე და თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებულ საბითუმო ვაჭრობის კულტურის დანერგვაზე. ქსელის განვითარება დაგეგმილი სტრატეგიისა და მიზნის შესაბამისად ხორციელდება. დღეს „ჯიბესთან“ სტაბილურად თანამშრომლობს 250ზე მეტი მომწოდებელი კომპანია, 7000ზე მეტი დასახელების სხვადასხვა პროდუქტით.

„ჯიბეს“ ყველა მაღაზია არის თანამედროვედ აღჭურვილი, ორგანიზებული სავაჭრო ობიექტი, სადაც იყიდება ხარისხიანი პროდუქცია, ხდება ვადების და შენახვის პირობების მკაცრი კონტროლი. ასევე ფილიალი სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს და მუდმივად იცავს სანიტარულ ჰიგიენურ-ნორმებს ობიექტებზე, პროდუქციის შენახვის პირობებს, გარდა ამისა, ვადაგასული/ჩამოსაწერი საქონლის უტილიზაციას უზრუნველყოფს კანონმდებლობის დაცვით სპეციალიზირებულ ნაგავსაყრელებზე და ცდილობს გარემოს ნაკლები ზიანი მიაყენოს.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება ფასს სტანდარტებს და საქართველოს კანონმდებლობას. 2018 წელს ჯგუფს აუდიტორული მომსახურება გაუწია აუდიტორულმა კომპანიამ PKF ჯორჯიამ. გამოქვეყნებული ანგარიში მოიცავს ჯგუფის ბოლო ორი წლის მდგომარეობას. იხ. მოკლე კონსოლიდირებული ინფორმაცია:

*კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თანხები მოცემულია ათას ლარში*



	31.12.2018	31.12.2017
სულ აქტივები	16 304	19 760
სულ კაპიტალი	(9 133)	(6 974)
სულ ვალდებულებები	25 438	26 734


*კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება
თანხები მოცემულია ათას ლარში*

	2018	2017
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	129 869	124 526
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(122 318)	(118 769)
საერთო მოგება	7 551	5,757
საოპერაციო ხარჯები	(31)	(8,119)
მიმდინარე წლის ზარალი	(2 158)	(2 362)
ჯგუფის წილი ასოცირებული საწარმოების წლიური წმინდა მოგებიდან	(864)	(945)
ჯგუფის წმინდა ზარალი	(1 294)	(1 417)

"ჯიბე"-ს საბითუმო - საცალო რეალიზაცია 2018 წელი



"ჯიბე"-ს რეალიზაცია ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2018 წელი



2017 წელთან შედარებით 2018 წელს ჯგუფის და ასევე ჯიბეს წლიური ბრუნვა გაიზარდა დაახლოებით 4%-ით, თუმცა მკვეთრად გაიზარდა საერთო მოგება დაახლოებით 31%-ით.

„ჯიბეს“ და შესაბამისად „ჯგუფის“ ფინანსურ მაჩვენებლებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფასების სტაბილურობა. ვინაიდან საქართველოში სამომხმარებლო პროდუქციის უმეტესი წილი იმპორტზე მოდის, მათ შორის ჯიბესაც 2018 წელს ჰქონდა ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში, სავალუტო გაცვილითი კურსის არასტაბილურობა პირდაპირ აისახება თვითღირებულებაზე და შემდეგ გასაყიდ ფასებზე. ამის გარდა, 2018 წელს ჯიბეს სასესხო ვალდებულებების უმეტესი წილი უცხოურ ვალუტაში იყო, შესაბამისად, ლარის გაუფასურებით კომპანიის სასესხო ვალდებულებების გადაფასების ზარალი იზრდება, რის გამოც, საბოლოო ფინანსური შედეგები მომგებიანობის კუთხით უარყოფითია.

„ჯგუფი“ „ჯიბეს“ 2015 წელს შემოუერთდა, როგორც სტრატეგიული პარტნიორი და ჩაიდო სოლიდური ინვესტიცია. დაისახა რამდენიმე სტრატეგიული განვითარების გეგმა, მათ შორის მთავარი პრიორიტეტები იყო საერთო ბრუნვის გაზრდა და კვ.მ-ზე ნავაჭრის გაზრდა. დასახული გეგმების შესასრულებლად გაიხსნა ახალი ობიექტები, დაიხურა არამომგებიანი ფილიალები რამდენიმე რეგიონში. აღსანიშნავია რომ „ჯიბეს“ ცნობადობის გასაზრდელად საჭირო მნიშვნელოვანი მარკეტინგული ხარჯების გაწევის ნაცვლად ინვესტიცია ჩადო პროდუქციაში რათა კონკურენტული ფასები შეეთავაზებინა მომხმარებლებისთვის, ამან შეამცირა მოგების მარჟა და ზარალიანი გახდა საოპერაციო მოგება, თუმცა დასახული გეგმები შესრულდა და შედეგები უკვე 2018 წლის მეოთხე კვარტლიდან შესამჩნევია. სამომავლოდ ბრუნვის და საბაზრო წილის ზრდასთან ერთად დაგეგმილია საოპერაციო მოგების ზრდა. აღსანიშნავია რომ ეს შედეგი უკვე 2019 წლის მეორე კვარტლიდან შეიმჩნევა - „ჯიბეს“ საოპერაციო მოგება მკვეთრად გაზრდილია და დასახულ გეგმებს წარმატებით ახორციელებს.

არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფი მისი საქმიანობიდან გამომდინარე არ ახორციელებს არაფინანსური მაჩვენებლების აღრიცხვა/ანალიზს.


საკუთარი აქციების გამოსყიდვა

ჯგუფს 2018 წლის განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და არც მიმდინარე ეტაპზე გეგმავს.

თანამშრომლები და შრომის უსაფრთხოება

დასაქმება, ნიჭის განვითარება და შენარჩუნება ჯგუფის შიგნით ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს უპიურატესობას წარმოადგენს. ამ მიზნის მიღწევის მნიშვნელოვანი ფაქტორია ღია და უწყვეტი კომუნიკაცია თანამშრომლებთან, ტრეინინგების ჩატარება და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა.

ჯგუფის და შესაბამისად „ჯიბეს“ საქმიანობის გაფართოების კვალდაკვალ იზრდებოდა დასაქმებულთა რაოდენობაც. ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია საშუალო წლიური დასაქმებულთა რაოდენობა „ჯიბეში“ 2015-2018 წლებში. დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეა.



აღსანიშნავია, რომ ჯგუფი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენტურობას. კადრების კვალიფიციურობა ჯიბეს ეხმარება მომხმარებლებთან ურთიერთობის სწორად წარმართვასა და გამართულ ფუნქციონირებაში, რისთვისაც თანამშრომლებს მუდმივად უტარდებათ ამ საკითხებზე ტრეინინგები, ამასთან 2018 წელს თანამშრომლებისთვის ჩატარდა დამატებით ტრეინინგები სურსათის უვნებლობის და შრომის უსაფრთხოების საკითხებში.

რისკები და მართვა

რეგიონში არსებული არასტაბილურობა

ჯგუფი საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე ეწევა, შესაბამისად ქვეყანაში მოქმედი შიდა პოლიტიკური თუ სოციალური ფაქტორები აისახება მისი და „ჯიბეს“ მუშაობასა და განვითარებაზე. ჯგუფი აქტიურად აკონტროლებს რეგიონში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს და პოლიტიკურ არასტაბილურობასთან დაკავშირებულ რისკებს და შეიმუშავებს საპასუხო სტრატეგიებს და სამოქმედო გეგმებს.

საკანონმდებლო რისკი

ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, საკანონმდებლო მოთხოვნებთან შეუსაბამობის რისკების აცილების გამო ჯგუფს და ასევე „ჯიბეს“ დაქირავებული ყავს სპეციალიზირებული კომპანიები რომლებიც უზრუნველყოფენ იურიდიულ და საგადასახდო საკონსულტაციო მომსახურებას.

კიბერუსაფრთხოება

ჯიბეს და შემდგომში ჯგუფის საქმიანობის შეფერხება შესაძლოა გამოიწვიოს კიბერშეტევებამაც. შესაბამისად კიბერუსაფრთხოების დაცვის მიზნით ჯიბეს მომსახურებას უწევს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ახორციელებენ მუდმივ მონიტორინგს, რათა არ მოხდეს კიბერშეტევებით კომპანიის საქმიანობის რაიმე ფორმით შეფერხება.

ლიკვიდურობის რისკი

ჯიბე მრავალი წელია თანამშრომლობს საქართველოში მოქმედ მსხვილ საბანკო ინსტიტუტებთან, როგორც საკრედიტო, ისე ფულადი სახსრების მოძრაობის კუთხით. სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობისას რისკი დაზღვეულია ფულის ან სხვა აქტივის მიწოდებით, რითაც საბოლოოდ ჯგუფი უზრუნველყოფს მისი ლიკვიდურობის შენარჩუნებას. თუმცა აღსანიშნავია რომ მისი საქმიანობის არსებობის მანძილზე არ ქონია მსგავსი შემთხვევები და აქვს პოზიტიური საკრედიტო ისტორია.

სავალუტო რისკი და მაკროეკონომიკური გარემო

მაკროეკონომიკური ცვლადების არასახარბიელო დინამიკას, მათ შორის აშშ დოლართან მიმართებით ლარის ამორტიზაციას შესაძლოა არსებითი გავლენა ჰქონდეს ჯგუფის საქმიანობის მაჩვენებლებზე. მისი პოზიციის შესამოწმებლად ჯგუფი მუდმივად აკონტროლებს ბაზარზე არსებულ მდგომარეობას, განიხილავს საბაზრო ცვლილებებს და ატარებს სტრატეგიულ სიტუაციების და სცენარების ტესტირებას უარყოფით ეკონომიკურ, მათ შორის ვალუტის ნეგატიური მოძრაობის პირობებში.

განვითარების გეგმები

ჯგუფი მიმდინარე პერიოდისთვის წილს ფლობს მხოლოდ შპს „ჯიბეში“ და ჯერ-ჯერობით არ გეგმავს ამ კუთხით გაფართოებას, შესაბამისად მხოლოდ ჯიბესთვის ხდება სტრატეგიის და ბიზნეს გეგმის შემუშავება და შემდეგ აქტიურად მართვა. ჯიბეს თითოეული ფილიალის არსებობას და განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის საქმიანობაში. ახალი ფილიალების დამატებით ხდება ახალი ბაზრების ათვისება და ახალი კლიენტების მოძიება, იზრდება ჯიბეს ცნობადობა.

2019 წელს ჯიბემ უკვე გახსნა ახალი ფილიალი ქ. ოზურგეთში. სამომავლოდ ჯგუფი გეგმავს კიდევ გახსნას მინ. 3 ახალი ფილიალი როგორც თბილისში, ისე საქართველოს რეგიონებში, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, განავითარებს რეგიონებში საბითუმო ვაჭრობას და უფრო კომფორტული გახდება მოსახლეობისთვის, ბიზნეს ოპერატორებისთვის პროდუქტების შეძენა.

დირექტორი:

რაჯემ ვასუდევან ნამბიარი

დეკემბერი 16, 2019

თბილისი, საქართველო

განვითარების გეგმები

ჯგუფი მიმდინარე პერიოდისთვის წილს ფლობს მხოლოდ შპს „ჯიბეში“ და ჯერ-ჯერობით არ გეგმავს ამ კუთხით გაფართოებას, შესაბამისად მხოლოდ ჯიბესთვის ხდება სტრატეგიის და ბიზნეს გეგმის შემუშავება და შემდეგ აქტიურად მართვა. ჯიბეს თითოეული ფილიალის არსებობას და განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის საქმიანობაში. ახალი ფილიალების დამატებით ხდება ახალი ბაზრების ათვისება და ახალი კლიენტების მოძიება, იზრდება ჯიბეს ცნობადობა.

2019 წელს ჯიბემ უკვე გახსნა ახალი ფილიალი ქ. ოზურგეთში. სამომავლოდ ჯგუფი გეგმავს კიდევ გახსნას მინ. 3 ახალი ფილიალი როგორც თბილისში, ისე საქართველოს რეგიონებში, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, განავითარებს რეგიონებში საბითუმო ვაჭრობას და უფრო კომფორტული გახდება მოსახლეობისთვის, ბიზნეს ოპერატორებისთვის პროდუქტების შეძენა.

დირექტორი:

რაჯეშ ვასუდევან ნამბიარი

დეკემბერი 16, 2019

თბილისი, საქართველო